F567w/3402

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოეთის საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 21-22 (182)

ნოემბერი, 1967 წელი

საბჭოთა ხალხთან ერთად მთელი მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობამ იზეიმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი



1917 = 1967

საქართველოს სსრ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა



დიდი დღესასწაული მოსკოვში

საოქტომბრო, სიცოცხლით აღსავსე, მჩქეფარე, სადღესასწაულოდ მორთული მოსკოვი... ამ ღირსშესანიშნავ საიუბილეო დღეებში მისკენ მიპყრობილი იყო ყველა ქვეყნისა და კონტინენტის მშრომელ ადამიანთა ყველაზე ნათელი და ხალასი მზერა, ფიქრები და გრძნობები. საბჭოთა ხალხთან ერთად ისინი ხოტბას ასხამდნენ დიად ოქტომბერს.

როცა სამ ნოემბერს საბჭოთა სახელმწიფოს მთავარმა საათმა დილის 10 საათი აჩვენა, ჩვენს დედაქალაქში მარჯნის ვარსკვლავებით მოკიაფე კრემლში თითქოს მთელი პლანეტა გადმოსახლდაო: ცისფერმა ეკრანებმა და რადიოტალღებმა კრემლის ყრილობათა სასახლეს დაუკავშირეს ევროპისა და აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ავსტრალიის ქვეყნების ასეულ მილიონობით ადამიანი. აქ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირისა და რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების ერთობლივ საზეიმო სხდომას, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა, დაესწრნენ ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები.

სიმბოლურია, რომ ჩვენთან ერთად კრემლის ყრილობათა სასახლეში იყვნენ მრავალრიცხოვანი საზღვარგარეთელი მეგობრები, თანამებრძოლები და ძმები, 95 ქვეყნის წარმოგზავნილნი — კომუნისტური, მუშათა, ეროვნულ-დემოკრატიული და მემარცხენე სოციალისტური პარტიების, საერთაშორისო პროფკავშირული, ქალთა და ახალგაზრდობის წარმომადგენლები. განასახიერებენ რა მთელ პროგრესულ კაცობრიობას, ისინი თავიანთი მონაწილეობით ოქტომბრის ზეიმში მოსკოვში ახალი ძალით უსვამენ ხაზს, რომ ოქტომბრის რევოლუციის იუბილე — ყველა ხალხთა ყველაზე ძვირფასი და ახლობელი დღესასწაულია.

არაჩვეულებრივად სასიხარულო ატმოსფერო სუფევდა კრემლის ყრილობათა სასახლეში. საზეიმო სხდომის მონაწილეები და მილიონობით ტელემაყურებელი და რადიომსმენელი აღფრთოვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ. მან დაგვიხატა იმ დიად საქმეთა მკაფიო სურათი, რაც ჩვენს ქვეყანაში შესრულდა ლენინდარული „ავრორას“ ისტორიული ზალპის შემდეგ განვლილ ორმოცდაათ წელიწადში, გვიჩვენა მსოფლიოში მომხდარი ღრმა ცვლილებები, რომლებიც მოჰყვა ოქტომბრის იდეების, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ძლევამოსილ წინსვლას.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, — მძლავრი ბიძგი მისცა მთელ მსოფლიო საზოგადოებრივ განვითარებას, დააჩქარა რევოლუციური და განმათავისუფლებელი ბრძოლის მსვლელობა. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, რომელთა დროშით გაიმარჯვა ოქტომბერმა, დღეს დაეუფლნენ მილიონობით ადამიანის გონებასა და გულს, მძლავრ შემოქმედებით ძალად იქცნენ. განვლილი ნახევარი საუკუნის ისტორიული შედეგი ის არის, რომ ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე ძირეულად შეიცვალა მუშათა კლასის სასარგებლოდ, პროგრესის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელი ძალების სასარგებლოდ.

„გაივლის საუკუნეები, კაცობრიობა მიაღწევს მწვერვალებს, რომლებიც გადააჭარბებენ ჩვენს თანამედროვეთა ყველაზე გაბედულ ფანტაზიას, შესაძლოა ბევრი ამბავი მიეცეს დავიწყებას. მაგრამ 1917 წლის შვიდი ნოემბრის დღე, როცა მოხდა პირველი ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია, სამუდამოდ დარჩება მომავალ თაობათა მეხსიერებაში“.

სიამაყის გრძნობით აღავსებს ხალხთა გულს ეს სიტყვები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა წარმოთქვა საზეიმო სხდომის ტრიბუნიდან 3 ნოემბერს. დიახ, ოქტომბრის საქმე უძლეველია, იგი იცოცხლებს საუკუნეებს, რადგან იგი მართალი, რევოლუციური საქმეა.


სიხარულითა და აღფრთოვანებით აღსავსე იყო ხუთი კონტინენტის ქვეყნების მოძმე პარტიებისა და ხალხების წარმოგზავნილთა ხმა. მათ აღნიშნეს, რომ ოქტომბრის რევოლუციას — თავისი ხასიათითაც და თავისი ისტორიული შედეგებითაც — განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რევოლუციათა შორის, რომლებიც ახსოვს კაცობრიობას. მან უღრმესი როლი შეასრულა ხალხთა ბედში, რადგან მით დაიწყო ერა მუშათა კლასის, შრომის ყველა ადამიანის განთავისუფლებისა იმ გაჭირვებისაგან, რაც მჩაგვრელთა ათასწლოვანმა ბატონობამ წარმოშვა.

მოძმე სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სსრ კავშირს მაღლა უჭირავს ხალხთა მეგობრობის დროშა, მეგობრობისა, რომლის კეთილშობილური პრინციპები გამოაცხადა დიდმა ოქტომბერმა. სულ უფრო ღრმა და მრავალმხრივი ხდება მეგობრობა სოციალისტურ ქვეყნებს შორის, ორგანულ მოთხოვნილებად იქცევა მოძმე ქვეყნების ხალხებისათვის.

ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოგზავნილებმა მადლობით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირთან მათი პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა, დამყარებული ურთიერთ ნდობასა და პატივისცემაზე, წლითიწლობით სულ უფრო იზრდება და მტკიცდება. კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებული ქვეყნები საბჭოთა კავშირის სახით ხედავენ გულწრფელ და უანგარო მეგობარს. მათ ნათლად აქვთ შეგნებული, რომ სსრ კავშირის ინტერნაციონალური პოლიტიკა დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს მათი დამოუკიდებლობის დაცვას იმპერიალისტთა ხელყოფისაგან.

ოქტომბრის მიერ აღმართული მშვიდობის დროშა დღეს მსოფლიოში ფრიალებს, როგორც მთელი კაცობრიობის მომავლის სიმბოლო. საბჭოთა სახელმწიფოს პირველი ორმოცდაათი წლის წარმატებები, რომლებსაც ამ ხნის განმავლობაში მიაღწია მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ყველა რაზმმა, დასაწყისია როგორც ჩვენი ქვეყნის ისე სხვა ქვეყნების ხალხების უფრო შესანიშნავი მომავლისა. კომუნიზმის მთელი კაცობრიობის ხვალინდელი დღეა!

* * *



სურათზე: კრემლის ყრილობათა სასახლის ხედი.

(ახალი ამბების სააგენტო).

საიუბილეო საზეიმო სხდომა თბილისში

ექვს ნოემბერს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, ბეჭრომელთა წარმომადგენელთა და თბილისის გარნიზონის მეომართა მონაწილეობით, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

დღის პირველი საათია... შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ვ. პ. მჟავანაძეს, პ. ა. როდიონოვს, დ. გ. სტურუას, ა. ტ. სტუჩენკოს, რ. ი. ფრუიძეს, გ. ი. ჩოგოვაძეს, გ. ს. ძოწენიძეს, შ. ი. ჭანუყვაძეს, გ. დ. ჯავახიშვილს, მ. ი. კუჭავას, ა. ნ. ინაურს, შ. დ. კიკნაძეს, ო. ი. ლოლაშვილს, ო. ე. ჩერქეზიას,** როცა ისინი სხდომის პრეზიდიუმში შენოვიდნენ.

მათთან ერთად არიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები, რესპუბლიკის მინისტრები, ლენინური პარტიის ვეტერანები, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აქტიური მონაწილენი, ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მონაწილენი, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეთაურთა შემადგენლობის წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ძოწენიძემ.**

— დღეს ნახევარი საუკუნე შესრულდა მას შემდეგ, თქვა მან, რაც რუსეთის პროლეტარიატმა დიდი ლენინის ხელმძღვანელობით ხელში აიღო ძალაუფლება და ააშენა საბჭოთა სახელმწიფო. პროგრესული კაცობრიობის მოწინავე წარმომადგენლები საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდნენ შეექმნათ ისეთი საზოგადოება, სადაც არ იქნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, სადაც ადამიანს სრული შესაძლებლობა ექნებოდა აეშენებინა თავისი ბედნიერი მომავალი.

დღეს ჩვენი სამშობლო მძლავრი სახელმწიფოა როგორც ეკონომიური, ისე კულტურული თვალსაზრისით. იგი ჩირაღდანია მსოფლიოს ბევრი ჩაგრული ხალხისათვის, გზის მანათობელი ვარსკვლავია კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ მიმავალ გზაზე.

საბჭოთა კავშირის წარმატებებში არის ქართველი ხალხის წვლილიც.

სხდომის თავმჯდომარე სიტყვას მოხსენებისათვის „დიდი ოქტომბრის 50 წელი“ აძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ვ. მჟავანაძეს.**

◆

ამხ. მჟავანაძემ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით გულითადად, მხურვალედ მიულოცა ყველა დამსწრეს და მათი სახით მთელ ქართველ ხალხს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ნახევარი საუკუნის იუბილე.

საბჭოთა წყობილების მთავარი სოციალური დასაყრდენია, ამბობს ნომხსენებელი, მუშათა კლასი, ყველაზე მოწინავე კლასი. მუშათა კლასმა გადაიტანა სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების, საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ძირითადი სიმძიმე. ამხ. მჟავანაძე ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ერთერთ ნებრძოლ რაზმზე—საქართველოს მუშათა კლასზე და აღნიშნავს, რომ ამ ბოლო წლებში მისი შემადგენლობა გაახალგაზრდავდა, გაიზარდა რესპუბლიკის მუშათა კლასის როლი, როგორც მატერიალური წარმოების, ისე სულიერი ცხოვრების სფეროში.

ამხანაგი მჟავანაძე აღნიშნავს იმ წარმატებებს, რომლებსაც საქართველოს მშრომელებმა მიაღწიეს საბჭოთა ხელისუფლების წლებში სანეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში საქართველოს სახალხო მეურნეობაში კაპიტალურმა დაბანდებამ 9 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. ამოქმედდა ათასზე მეტი ახალი დიდი სამრეწველო საწარმო. კაპიტალურად რეკონსტრუირებულია ყველა ძველი საწარმო.

ქართული ინდუსტრიის სიამაყეა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და ქიმიური კომბინატი, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხანა, გორის ბამბეულის კომბინატი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ჰიდროსადგურები ხრამსა და რიონზე და ბევრი სხვა. ამჟამად შენდება ჩვენი ქვეყნის ერთერთი უდიდესი, უნიკალური ჰიდროელექტროსადგური—ენგურის ჰიდროელექტროსადგური. მიმდინარე წლის დამდეგს საქართველოში იპოვეს ბუნებრივი გაზი, რაც ქმნის დიდი ქიმიის საწარმოთა სწრაფი განვითარების პირობებს. შარშან 1913 წელთან შედარებით მრეწველობის პროდუქციის საერთო ნოცულობა 62-ჯერ გაიზარდა.

საბჭოთა კავშირის მრეწველობის პროდუქციაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჭიათურის მახგანუმს, ზესტაფონის ფეროშენადნობებს, თბილისის ელმავლებს, ფოთის მიწასაწოვებს, ბათუმის წყალქვეშა ფრთიან კატარღებს, ქართულ ჩაის, ღვინოს, თამბაქოსა და ეთეროვან ზეთებს.

დიდი წარმატებებია მიღწეული საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციული და სამეურნეო განმტკიცების შედეგად სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ 1966 წელს 5,8-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მეჩაიეობა, მევენახეობა. მეხილეობა, მეთამბაქოეობა, მეციტრუსეობა. 1966 წელს ჩაის პლანტაციების ფართობმა 63 ათას ჰექტარს გადააჭარბა, ხოლო ჩაის ფოთლის კრეფა გაიზარდა 226 ათასი ტონამდე, ნაცვლად 1921 წლის 550 ტონისა. ვენახებს 100 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავთ, ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა ბევრი სარწყავი და ამოსაშრობი არხი. ამჟამად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით. საქართველოში შეიქმნა მსოფლიოში პირველი ჩაისმკრეფი მანქანები, აგრეთვე მთელი რიგი სხვა მექანიზმები მეჩაიეობისათვის, მევენახეობისათვის, ჩაისა და ეეღვინეობის მრეწველობისათვის. მკვეთრად გაიზარდა საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წონა კოლმეურნეობათა შემოსავალში.

წლითიწლობით, დიდი სამამულო ომის პერიოდის გამოკლებით, ამბობს შემდეგ ამხ. მჟავანაძე, უმჯობესდებოდა მთელი

(დასასრული მე-4 გვერდზე).





საიუბილეო საზეიმო სხდომა თბილისში

(დასასრული)

ჩვენი ქვეყნისა და საქართველოს მშრომელთა ცხოვრების პირობები. თანდათანობით იზრდებოდა მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, კოლმეურნეთა შემოსავალი. ფართო მასშტაბით დაიწყო ქალაქისა და სოფლის საბინაო მშენებლობა. მომდინარეობდა დიდი სამუშაოები ახალი ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის, ძველი ქალაქებისა და დაბების გაფართოებისა და კეთილმოწყობისათვის.

წარმატებებმა ეკონომიკის დარგში უზრუნველყვეს საქართველოს კულტურისა და მეცნიერების აყვავება. სოციალისტური მშენებლობის პერიოდში მოხდა ნამდვილი კულტურული რევოლუცია. ახლა საქართველოში არის დაახლოებით 4.700 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომლებშიც სწავლობს 930 ათასი ბავშვი, 18 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 81,4 ათასი სტუდენტი, 92 საშუალო სპეციალურ სასწავლებელში — 43,2 ათასი კაცი.

კოლოსალური წარმატებებია მიღწეული ქართული მეცნიერების განვითარებაში. 1941 წელს შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც გადაიქცა რესპუბლიკის მეცნიერული აზრის ცენტრად. ახლა საქართველოში 186 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებაა.

ქართველმა მათემატიკოსებმა, ფიზიოლოგებმა, ფსიქოლოგებმა, გეოლოგებმა, ასტრონომებმა, ისტორიკოსებმა, ენათმეცნიერებმა და აღმოსავლეთმცოდნეებმა, რომელთა წარმატება დაკავშირებულია მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების ანდრია რაზმაძის, ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, ივანე ბერიტაშვილის, დიმიტრი უზნაძის, ალექსანდრე ჯანელიძის, ევგენი ხარაძის, ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, არნოლდ ჩიქობავას, გიორგი ახვლედიანის, აკაკი შანიძის, გიორგი წერეთლისა და სხვების სახელთან, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერებაში.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში წარმოდგენილია თანამედროვე მეცნიერების თითქმის ყველა დარგი. 1959 წელს მწყობრში ჩადგა ფიზიკის ინსტიტუტის ატომური რეაქტორი, სადაც ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეცნიერები ეწევიან მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების უმნიშვნელოვანეს პრობლემათა კვლევას, ქართველმა მეცნიერებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს კოსმოსის ათვისებაში. გაფართოვდა საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებათა კონტაქტი მთელი საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებებთან, აგრეთვე კაპიტალისტური სამყაროს პროგრესულ მეცნიერებთან. განმტკიცდა ქართველ მეცნიერთა შემოქმედებითი კავშირი მატერიალური წარმოების სფეროს სხვადასხვა დარგის მუშაკებთან, ცხოვრებასთან. განსაკუთრებით გაიზარდა ქართული მეცნიერების როლი და მნიშვნელობა ომისშემდგომ წლებში.

წარსულიდან მიღებული სულიერი უთანაბრობის ლიკვიდაციაში დიდი როლი შეასრულეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, პრესამ, რადიომ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ. საქართველოში გამოდის 145 ჟურნალ-გაზეთი და სხვა პერიოდული გამოცემა ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე.

საყოველთაო აღიარება და სიყვარული დაიმსახურა ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ. ქართული საბჭოთა მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების, თეატრისა და კინოს მოღვაწეთა საუკეთესო ნაწარმოებები სამუდამოდ შევიდა საბჭოთა და მსოფლიო კულტურის საგანძურში. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებანი მჭიდროდაა დაკავშირებული გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, სიმონ ჩიქოვანის, კოტე მარჯანიშვილის, სანდრო ახმეტელის, აკაკი ხორავას, სერგო ზაქარიაძის, ვერიკო ანჯაფარიძის, მიხეილ გელოვანის, ზაქარია ფალიაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ანდრია ბალანჩივაძის, ალექსი მაჭავარიანის, ოთარ თაქთაქიშვილის, ვანო სარაჯიშვილის, სანდრო ინაშვილის, ვახტანგ ჭაბუკიანის, ნინო რამიშვილის, ილიკო სუხიშვილის, იაკობ ნიკოლაძის, ლადო გუდიაშვილის, უჩა ჯაფარიძისა და სხვების სახელთან. ამხ. მჟავანაძე ულოცავს ჩვენს მეცნიერებს, მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს ოქტომბრის დიდ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს და უსურვებს მათ ახალ შემოქმედებითს გამარჯვებებს კომუნიზმის სადიდებლად.

ოქტომბრის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, ეროვნული საკითხის გადაჭრა, ეროვნული უთანასწორობის ლიკვიდაცია ერთი ერის მიერ მეორე ერის ჩაგვრის ყოველგვარი ეროვნული, პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზების აღმოფხვრის ბაზაზე.

საბჭოთა ხალხების ლენინური მეგობრობა იწრთობოდა ერთობლივ ბრძოლაში ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისათვის, სამოქალაქო ომის პერიოდში, განსაკუთრებით ფაშისტურ გერმანიასთან და მის თანამზრახველებთან სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში.

საბჭოთა ხალხების ლენინური მეგობრობა განმტკიცდა ერთობლივ ბრძოლაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ყველა ეტაპზე. იმას, რომ საბჭოთა ხალხმა ბრწყინვალედ შეასრულა საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის ავანგარდის როლი, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ პირნათლად მოიხადა თავისი ინტერნაციონალური ვალი, მოწმობს ჩვენი ქვეყნის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე მეორე მსოფლიო ომის წლებში, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის სწრაფი ნგრევა.

ამან მოითხოვა საბჭოთა ხალხის უდიდესი მსხვერპლი. საკმარისია ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომს შეეწირა ოცი მილიონი საბჭოთა ადამიანი. საქართველოს 600 ათასზე მეტი შვილი იცავდა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას სამამულო ომის ყველა ფრონტზე. იმ გმირთა შორის, რომლებიც დაეცნენ გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა და იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში, 300 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულეა.

ურღვევია საბჭოთა ხალხების ლენინური მეგობრობა, სამუდამოდ შედუღაბებული ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს დაცვის დროს დაღვრილი სისხლით.

დასასრულს ამხ. მჟავანაძე ამბობს:

საბჭოთა საქართველო დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს ხვდება ახალი დიდი გამარჯვებებით სახალხო მეურნეობაში, მეცნიერებასა და კულტურაში. ეს გამარჯვებები შედეგია კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობისა, შედეგია ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელებისა.

სწორედ ამიტომ ქართველი ხალხი, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმება დიდი ლენინის პარტიის გარშემო. პარტიისა, რომელიც უშიშარი და უდრეკია კომუნიზმისათვის გრანდიოზულ ბრძოლაში. სწორედ ამიტომ, ხაზს უსვამს მომხსენებელი, ქართველი ხალხი, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს მთელი ხალხები, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის დღეს კიდევ ერთხელ სდებს საზეიმო ფიცს — იცხოვროს, იშრომოს და იბრძოლოს, ძალღონისა და ენერგიის დაუზოგავად კომუნიზმის სრულ და საბოლოო გამარჯვებამდე.

საზეიმო სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მეცნიერების და კულტურის წარმომადგენლები, სტუმრები.

დასასრულ გაიმართა დიდი საიუბილეო-საზეიმო კონცერტი.



საქართველო მონრეალში

გ. დ. ჯავახიშვილის პრეს-კონფერენცია

საბჭოთა ქვეყანა ახორციელებს კეთილშობილურ მისიას — განამტკიცებს სსრ კავშირის ხალხებისა და მსოფლიოს უველა ხალხის მეგობრობას, ურთიერთგაგებას, ნდობასა და თანამშრომლობას, ისტორიის, ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, ყოფა-ცხოვრების ურთიერთგაცნობის. ფართო საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენელთა მჭიდრო კონტაქტების დამყარების გზით. მრავალფეროვანია ამ ურთიერთობის ფორმები და ამოუწურავი საზღვარგარეთის ქვეყნებთან ახალი კონტაქტების დამყარებისა და არსებული კონტაქტების განვითარების საშუალებანი. ერთ-ერთი ასეთი ფორმაა საბჭოთა კავშირის მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენასა და ბაზრობაში. საბჭოთა პავილიონმა მონრეალის მსოფლიო გამოფენაზე „ექსპო-67“, რომელიც 29 ოქტომბერს დაიხურა, შეასრულა განსაკუთრებით პასუხსაგები როლი, რაც განისაზღვრა მისი მუშაობით დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის წინა ხანებში. პავილიონის 10 ათასმა ექსპონატმა შთამბეჭდავად ასახა ჩვენი ქვეყნის წარსული და აწმყო, მის მიერ განვლილი გზა, მისი ეკონომიკა, მეცნიერება, კულტურა.

„ექსპო-67“-ზე სსრ კავშირის 15 მოკავშირე რესპუბლიკის მიღწევათა დემონსტრაციის მკაფიო ფინალი იყო საქართველოს დღე.

საქართველოს სსრ დღის ზეიმში მონაწილეობდა რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **გ. ჯავახიშვილის** მეთაურობით, დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ **რ. ფრუნიძე, შ. ჭანუყვაძე, ო. ლოლაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ე. ჯაფარიძე,** რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **რ. ჯაფარიძე,** თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი **ვ. პაპინაშვილი,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი **ნ. ყიასაშვილი,** მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში **ნონა გაფრინდაშვილი.**

30 ოქტომბერს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელიც გახსნა ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ **შ. გაგოშიძემ.**

პრეს-კონფერენციაზე **გ. ჯავახიშვილმა** ცენტრალური და რესპუბლიკური პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებს უამბო იმ ზეიმის შესახებ, რომელიც მონრეალში გაიმართა საქართველოს სსრ დღესთან დაკავშირებით. პრეს-კონფერენციაში მონაწილეობდნენ **რ. ფრუნიძე, შ. ჭანუყვაძე, ო. ლოლაშვილი, ე. ჯაფარიძე.**

როგორც ცნობილია, თქვა **გ. ჯავახიშვილმა,** მონრეალის მსოფლიო გამოფენა „ექსპო-67“ მოეწყო დევიზით „ადამიანთა დედამიწა“. გამოფენისადმი ინტერესი მნიშვნელოვნად გაძლიერდა, როცა ცნობილი გახდა, რომ მასში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირი. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ყოველივე, რაც კი შეუქმნია კაცობრობის გენიას. და გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ გამოფენამ ხელი შეუწყო ჰუმანიზმის იდეებისა და თანამშრომლობის სულისკვეთების გავრცელებას, მსოფლიო პროგრესის განვითარებას.

საქართველოს ეროვნული დღისათვის სსრ კავშირის პავილიონში გაიხსნა ექსპოზიცია, რომელიც ასახავდა ჩვენი რესპუბლიკის წარმატებებს ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, დარგში.

გ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ „ექსპო-67“-ზე ჩასვლის პირველ დღიდანვე დელეგაციისადმი დიდ ყურადღებას იჩენდა მონრეალის საზოგადოებრიობა, 15 ოქტომბერს საბჭოთა საქართველო მთლიანად დაეპატრონა სსრ კავშირის პავილიონს. ათასობით ადამიანი, რომლებიც აქ შეიკრიბნენ პავილიონის გახსნამდე დიდი ხნით ადრე, დაესწრნენ საქართველოს სსრ ალმის საზეიმოდ აღმართვას. შესრულდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები. თითქმის ბუნებაც იზიარებდა დამთვალიერებელთა საზეიმო განწყობილებას — თბილი, მზიანი დღე იყო, რაც უჩვეულოა კანადაში ამ დროს.

საქართველოს დელეგაციის პრეს-კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტები, „ექსპოს“ კორპორაციის პრეს-განყოფილების წარმომადგენლები, თქვა **გ. ჯავახიშვილმა,** ჩვენ მოვიყვანეთ იმის დამჯერებელი მაგალითები და ფაქტები, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მისცა ყოველმხრივი პროგრესის უსაზღვრო შესაძლებლობანი. ჩვენ ჟურნალისტებს ვუამბეთ, რომ საბჭოთა საქართველოს ხალხი, რომელსაც შთაგონებს კომუნისტური პარტია, თავდადებული შრომით აღწევს ახალ-ახალ მიჯნებს კომუნიზმის გზაზე.

ადგილობრივი და საზღვარგარეთული პრესის წარმომადგენლებმა მოგვცეს უამრავი შეკითხვა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის, სახალხო განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის, საკურორტო სიმდიდრეთა განვითარების შესახებ.

დიდი წარმატება ხვდა წილად ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებს. განსაკუთრებით დიდი აღტაცება გამოიწვია თბილისის ათმეტრიანმა ფერადმა ფოტოპანორამამ, რომლის ფონზე გაიშალა საქართველოს ექსპოზიცია. პანორამას რომ შეხედავდნენ, დამთვალიერებლები ამბობდნენ: თითქოს გონების თვალით ვხედავ თქვენი მზიური მხარის დედაქალაქიო.

დიდი ინტერესით შეხვდნენ ქართულ ფილმებს. მაგალითად, ფილმმა „საქართველოს სსრ“, რომელიც შექმნეს ჩვენი ტელევიზიის მუშაკებმა, საშუალება მისცა „ექსპოს“ სტუმრებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ემოგზაურათ ჩვენს რესპუბლიკაში. დიდად პოპულარული იყო ტელევიზტორინა „რა იცით საქართველოზე“, რომელშიც 500 კაცი მონაწილეობდა. გამარჯვებულთ მიენიჭათ პრემიები.

დამთვალიერებლებს, რომლებიც გაეცვნენ ჩვენს ექსპოზიციას, გადაეცათ 320 ათასი ფერადოვანი ბუკლეტი, სხვადასხვა ლიტერატურა, რომელიც ახასიათებს ქართველი ხალხის მრავალფეროვან ცხოვრებას. პავილიონის რადიოჭსელით გადასცემდნენ ქართულ მელოდიებს.

ადგილობრივმა ჭადრაკის მოყვარულებმა, როცა გაიგეს, რომ ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაშია მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, სთხოვეს ეთამაშა მათთან. ნონამ გამართა ვაჟებთან ერთდროული თამაშის ორი სეანსი. თითოეულ სეანსში 25 კაცი მონაწილეობდა. პირველ შეხვედრაში ნ. გაფრინდაშვილმა მოიგო 23 პარტია, ერთი ყაიმით დაამთავრა, ერთი კი წააგო. ასეთივე წარმატებით დაამთავრა ჩემპიონმა მეორე სეანსიც.

გ. ჯავახიშვილმა დამსწრეთ გაუზიარა შთაბეჭდილებანი საქართველოს ხელოვნების ოსტატების — მედეა ამირანაშვილის, ნოდარ ანდღულაძის, ნანა იაშვილის, ალა დვალის, ვახტანგ გუნაშვილის, ანსამბლების „გორდელასა“ და „ორერას“ გამოსვლების შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ საქართველოს დღისადმი მიძღვნილ კონცერტში, და თქვა, რომ მათ მოხიბლეს მონრეალის საზოგადოება. გაზეთებმა მათ მიუძღვნეს დადებითი რეცენზიები.

დელეგაციამ დაათვალიერა ჩეხოსლოვაკიის, კუბის, იუგოსლავიის, ალჟირის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების პავილიონები, აგრეთვე ინტერნაციონალური დარგობრივი პავილიონები, მეგობრული შეხვედრები და საუბრები ჰქონდათ მათს ხელმძღვანელებთან. მონრეალის დათვალიერების შემდეგ დელეგაციის წევრებმა იმოგზაურეს კანადაში, დაათვალიერეს ოტავის, ტორონტოსა და ნიაგარა-ფოლსის სამრეწველო და კულტურული ცენტრები, ღირსშესანიშნავი ადგილები.

მონრეალში ყოფნის დროს საქართველოს დელეგაციის მეთაური **გ. ჯავახიშვილი** ეწვია ქალაქის მერს ჟან დრაპოს და გამოფენა „ექსპო-67“-ის გენერალურ კომისარს პიერ დიუპუის.

მსოფლიო გამოფენა „ექსპო-67“-ზე საქართველოს სსრ დღესასწაულის დასასრულს სსრ კავშირის სექციის გენერალური კომისრის მოვალეობის შემსრულებელმა ვ. ჩერვიაკოვმა დიდი დარბაზობა გაუმართა საქართველოს მთავრობის დელეგაციას.

„ექსპო-67“-ის დათვალიერებისა და კანადაში მოგზაურობის შესახებ დამსწრეთ შთაბეჭდილებანი გაუზიარეს **შ. ჭანუყვაძემ, რ. ფრუნიძემ, ე. ჯაფარიძემ, ო. ლოლაშვილმა.** ჟურნალისტებმა მრავალი შეკითხვა მისცეს **გ. ჯავახიშვილსა** და დელეგაციის წევრებს.

ზრდისა და აღმავლობის ციფრები

△ **საქართველოს** დღევანდელი მაღალგანვითარებული მრეწველობა ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა. ამ პერიოდის განმავლობაში აშენდა ახალი მაღაროები ქვანახშირის ცენტრებში ახალციხესა და ტყვარჩელში. რესპუბლიკაში ქვანახშირის მოპოვებამ 1966 წელს 1913 წლის დონეს 37-ჯერ გადააჭარბა.

მთლიანად გადაკეთდა და გაფართოვდა მარგანეცის მრეწველობა — რესპუბლიკის მძიმე ინდუსტრიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი.

△ **საქართველოში** დღეს შექმნილია ძლიერი ენერგეტიკული მრეწველობა. რესპუბლიკის ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრემ 1966 წელს 1,6 მილიონ კილოვატს გადააჭარბა. დღეს მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია 6,5 მილიარდ კილოვატსაათს შეადგენს. ეს შესაბამისად 198 და 325-ჯერ აღემატება 1913 წლის დონეს.

△ **მძიმე** მრეწველობის ზრდასთან ერთად წარმატებით ვითარდება მსუბუქი მრეწველობის დარგებიც. 1966 წელს მსუბუქი მრეწველობის მთლიანმა პროდუქციამ 1940 წლის დონეს 3,3-ჯერ გადააჭარბა, კვების მრეწველობამ კი — 4,5-ჯერ.

△ **საკოლმეურნეო** წყობილების გამარჯვების დღიდან იწყება საქართველოში ქართული სოფლის მეურნეობის აღორძინება.

გამოყენებული მიწების საერთო ფართობმა უკვე 7.273,1 ჰექტარს მიაღწია და სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ 1913 წლის დონეს 6-ჯერ გადააჭარბა.

△ **ტრაქტორმა,** ავტომანქანამ, ელექტროენერგიამ შეცვალა ცხენი, ქავი, ხარ-კამეჩი. გასული წლის დასაწყისისათვის ელექტროფიცირებული იყო საბჭოთა მეურნეობების 97 პროცენტი და კოლმეურნეობების 84 პროცენტი. გასულ წელს რესპუბლიკის მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მინდვრებში 22.280 ტრაქტორი, 1.694 კომბაინი და 11.849 სატვირთო ავტომანქანა მუშაობდა.

△ **1921 წლის** თებერვალი. ჩამორჩენილობა, სიღატაკე, რომელიც საქართველომ ძველი წყობისაგან მიიღო, მძიმე ტვირთად დააწვა ხალხს. 1897 წლის აღწერით საქართველოს მოსახლეობის 76 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

და აი, საბჭოთა ხელისუფლების მესამე თვეს საქართველოს რევოლუციური კომიტეტი იღებს დეკრეტს უახლოეს მომავალში მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

△ **საქართველოს** ქალაქებსა და სოფლებში გაიხსნა 300 ჯოხ-სამკითხველო. 1926 წლისათვის წერა-კითხვა იცოდნენ 100 ათასმა კაცმა. 1939 წელს საქართველოს მოსახლეობის 89,3 პროცენტი უკვე წერა-კითხვის მცოდნე იყო.

ამ მხრივ დღეს საბჭოთა საქართველო ახპროცენტიანი რესპუბლიკაა! რესპუბლიკის ყოველ ათას მცხოვრებზე 38 უმაღლეს დამთავრებული და 315 საშუალო განათლების და არასრული საშუალო განათლების ადამიანი მოდის.

△ **ციფრები** მეტყველებენ, რომ 1914-1915 სასწავლო წელს საქართველოში იყო 1.765 სკოლა, მათს შორის საშუალო 40 და 1.725 დაწყებითი. 95 პროცენტი ამ სკოლებისა საკლესიო სასწავლებლებს წარმოადგენდა. ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს არაერთხელ დაუყენებიათ დღის წესრიგში საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკითხი, მაგრამ ცდა ნაყოფს არ იძლეოდა. ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელს საქართველოში და მთელს ამიერკავკასიაში წარმოადგენდა ქალთა უმაღლესი კურსე-

---

(დასასრული მე-7 გვ.).



7 ნოემბერს, რუსთაველის პროსპექტზე...

ეს ფოტოსურათები გადაღებულია 1967 წლის 7 ნოემბერს, საქართველოს დედაქალაქში, რუსთაველის პროსპექტზე, აქ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად გამართა თბილისის მშრომელთა წარმომადგენლებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სადღესასწაულო დემონსტრაცია.

მშრომელთა წარმომადგენლების საიუბილეო-საბრძოლო დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, გორში, თელავში, ზუგდიდში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.



ათინას პრემია — ქართველ არქიტექტორს

მტკვრის კლდოვან ნაპირზე ტერასებად გადმოკიდულა ქალაქი. საფეხურებად მიიწევს მაღლა შენობები. არქიტექტორის ჩანაფიქრით ზოგიერთი ბინა-ოთახების სიმრავლის გათვალისწინებით — სამსართულიანია. ბინების თვითეულ ჯგუფში არსებობს საკუთარი სახელოსნო. საცხოვრებელი კომპლექსის ახლოს მდებარეობს საბავშვო ბაღები, ბაგები, სპორტული მოედნები, სავაჭრო ცენტრი, ავტომანქანების სადგომი, ბაღი, კაფე, კინოთეატრები. მტკვარზე ჩადის სწრაფმავალი ლიფტი — ნაპირზე ნავთსადგომია მოწყობილი სამდინარო კატარღებისათვის, აქვეა რესტორანი.

საცხოვრებელი კვარტალის ეს პროექტი გათვალისწინებულია 200-250 ბინისათვის მეტების პლატოზე საქართველოს დედაქალაქ თბილისში. პროექტის ავტორია ახალგაზრდა არქიტექტორი, თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული ვლადიმერ ცინცაძე.

სამ წელიწადში ერთხელ არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირი სხვადასხვა ქვეყნებში აწყობს კონგრესებს, რომელთა მუშაობაშიც მონაწილეობენ მსოფლიოს წამყვანი არქიტექტორები. ასეთი კონგრესები თავის დროს ჩატარებულია ლონდონში, ჰავანაში, პარიზში და მსოფლიოს სხვა ქვეყნების დედაქალაქებში. ამ კონგრესთა ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა არქიტექტურული ხელოვნების ყველაზე აქტუალური საკითხები. სიმპოზიუმების გარდა კონგრესებზე მიმდინარეობს ხოლმე შეჯიბრებებიც — ახალგაზრდა არქიტექტორთა კონკურსები.

ამ ცოტა ხნის წინათ პრაღაში მუშაობა დაამთავრა არქიტექტორთა IX საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც ორ კვირას მიმდინარეობდა. კონგრესის ძირითადი თემა იყო — „ადამიანი და არქიტექტურული გარემო“. ახალგაზრდა არქიტექტორთა მსჯელობის თემა კი გახდა „მცირე საცხოვრებელი კომპლექსი“. 29 ქვეყნის არქიტექტურული სკოლების სტუდენტებმა ამ კონკურსზე 140 ნამუშევარი წარმოადგინეს.

საბჭოთა კავშირმა სტუდენტთა 15 პროექტი გამოფინა. ნამუშევრები საკმაოდ მკაცრი გამოცდის შემდეგ მოხვდა ამ კონკურსზე: თვითეულ სასწავლებელს მხოლოდ ერთი ნამუშევრის გაგზავნა შეეძლო. საქართველოდან კონკურსზე ორი პროექტი იყო წარდგენილი. მათი ავტორები არიან ახალგაზრდა ქართველი არქიტექტორები: თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული ვლადიმერ ცინცაძე და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული გიორგი მურმანიშვილი. პირველს ეკუთვნოდა 26-ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტი მეტების ციხის პლატოზე, მეორეს — საცხოვრებელი კომპლექსი შავი ზღვის სანაპიროზე, კურორტ ციხისძირის ახლოს.

უმაღლესი ჯილდო — ათინას პრემია მიენიჭა ვლადიმერ ცინცაძის პროექტს. გიორგი მურმანიშვილის პროექტს, როგორც საუკეთესოს მისცეს სპეციალური დიპლომი. ასეთი დიპლომები მხოლოდ ათ ნამუშევარს გადაეცა.

საერთაშორისო კონკურსზე ახალგაზრდა ქართველი არქიტექტორების გამარჯვება შემთხვევითი როდია. თბილისის სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტებმა ამ უკანასკნელ წლებში არა ერთი მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა არქიტექტორი მოამზადეს.

მიმდინარე წელს მარტო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 23 სპეციალისტმა მიიღო არქიტექტორის დიპლომი.

კურსდამთავრებულმა თამაზ წითაიშვილმა დაცვაზე წარმოადგინა თურქმენეთის კურორტ არჩმანის დაგეგმარების მოხერხებული და ორიგინალური პროექტი, რომლის განხორციელებასაც სულ მოკლე ხანში დაიწყებენ მშენებლები. ახალგაზრდა არქიტექტორმა თავისი ნამუშევარი ჩაიფიქრა და შეასრულა კიდეც საწარმოო პრაქტიკის დროს, რომელიც თურქმენეთში გაატარა.

საინტერესოდ გადაჭრა თბილისის საუნივერსიტეტო კომპლექსის შექმნის რთული ამოცანა ომარ ნაფეტვარიძემ. დიპლომანტმა თამაზ გერსამიამ კი შეასრულა თბილისის ერთ-ერთი ძველი რაიონის რეკონსტრუქციის მოხერხებული პროექტი, რომლის შექმნაც დიდ მოსამზადებელ სამუშაოებს საჭიროებდა. ახალგაზრდა არქიტექტორმა დეტალურად შეისწავლა სარეკონსტრუქციო რაიონი, რამაც საშუალება მისცა ჰარმონიულად შეერწყა ერთმანეთისათვის ძველი და ახალი.

ლევან ბოკერიამ წარმოადგინა ახალგაზრდული სასტუმროს პროექტი. სასტუმრო გათვალისწინებულია 200 კაცისათვის საქართველოს დედაქალაქში. პროექტის ავტორმა მარჯვედ გამოიყენა ეროვნული მოტივები და თანამედროვე კომფორტაბელური ოტელის ნამდვილი ნიმუში შექმნა.

მ. ლორთქიფანიძე.

მშენებლები ასრულებენ დაპირებებს

„მთავართბილისმშენის“ სახლსაშენებელი კომბინატის კოლექტივმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა საგეგმო დავალებანი და დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. საექსპლოატაციოდ გადაცემულია 26.445 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მნიშვნელოვნად გადიდდა შრომის ნაყოფიერება. შემცირდა სამუშაოთა თვითღირებულება. წლის დამდეგიდან მოღებულმა ზეგეგმითმა მოგებამ უკვე შეადგინა დაახლოებით 30 ათასი მანეთი.

— საბინაო მშენებლობის დიდი გაქანება, — თქვა კომბინატის მთავარმა ინჟინერმა გ. გუჯეჯიანმა, — შესაძლებელი გახდა ინდუსტრიულ მეთოდებზე გადასვლის შედეგად. ჩვენთან სამშენებლო სამუშაოები თითქმის მთლიანად გადაქცეულია ქარხნული დამზადების დიდძალეულიანი ნაკეთობიდან შენობების აწყობისა და მონტაჟის მექანიზებულ პროცესად. ყველა დეტალი და კვანძი საკუთარი წარმოებისაა. ჩვენი მუშები ასრულებენ ავრეთვე შენობების მონტაჟის ყველა პროცესს.

საიუბილეო წელმა კომბინატის კოლექტივს ბევრი სიახლე მოუტანა: პირველად აშენდა ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი „ფრიადზე“. დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს კომბინატის რეკონსტრუქცია: უკვე აშენდა საასტრო უბნების საწარმოო კორპუსები, მზა პროდუქციის საწყობი, დამთავრდა საარმატურო საამქროს რეკონსტრუქცია. დასასრულს უახლოვდება მსხვილი საელდლე ბლოკების მშენებლობა. რეკონსტრუქციის შემდეგ კომბინატის სიმძლავრე გაიზრდება 52 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით წელიწადში.

ზრდისა და აღმავლობის ციფრები

(დასასრული).

თბილისში. მას 314
შენელი ჰყავდა.

△ **გასულ** სასწავლო
ს რესპუბლიკაში იყო
ომადლესი სასწავლე-
ი 81 ათასი სტუდენ-
ი. 92 საშუალო სპეცი-
ური სასწავლებელი
2 ათასი მოსწავლით
4.685 საერთოსაგანმა-
ლებლო სკოლა, სადაც
8 ათასი მოსწავლე ეზა-
ბოდა ცოდნას.
რესპუბლიკის მოსწავ-
ლეთა და საკვალიფიკა-
ციო კურსების მსმენელ-
თა საერთო რიცხვი კი
1.193 ათას აღწევდა. ე. ი.
რესპუბლიკაში ყოველი
მეოთხე კაცი სწავლობს!

△ **საქართველოს** 186
სხვადასხვა სახის სამეც-
ნიერო დაწესებულებაში
მეცნიერულ და პედაგო-
გიურ მოღვაწეობას ეწევა
15 ათასი კაცი — 669
დოქტორი და 4.288 მეც-
ნიერებათა კანდიდატი.

△ **წიგნი** ცოდნის წყა-
როა. მაგრამ წინათ იგი
ხელმიუწვდომი იყო ხა-
ლხის ფართო ფენებისა-
თვის. მხოლოდ 25 მასო-
ბრივი ბიბლიოთეკა არ-
სებობდა საქართველო-
ში 1913 წელს. წიგნების
ფონდი 18 ათასს ძლივს
აღწევდა.

დღეს ბიბლიოთეკების
რიცხვი 119-ჯერ მეტია,
მათი წიგნადი ფონდი კი
ათასჯერ გაიზარდა. საგა-
მომცემლო საქმის მასშ-
ტაბებზე ლაპარაკობს ასე-
თი ციფრი: 1966 წელს
მარტო გაზეთების ტირაჟ-
მა 1923 წლის დონეს 15-
ჯერ გადააჭარბა.

△ **მუზეუმების** რიცხ-
ვი 23-ჯერ, ხოლო საკლუ-
ბო დაწესებულებებისა
4-ჯერ გაიზარდა. კინო-
დანადგართა რაოდენობა
კი 1940 წელთან შედა-
რებით 1.296-ჯერ მეტია.

△ **თანამედროვე** კაცი
ხშირად ვეღარც კი ამჩ-
ნევს იმ უამრავ სიახლეს,
რაც რესპუბლიკაში შე-
მოვიდა. ისინი ჩვეულებ-
რივ მოვლენებად იქცა:
ექიმის შინ გამოძახება,
უფასო საკაზრები სანა-
ტორიუმებსა და დასას-
ვენებელ სახლებში და
მრავალი სხვა.

△ **თითო** ექიმი მოდი-
და საქართველოში ყო-
ველ ქალაქის 7.400 და
სოფლის 63 ათას მცხოვ-
რებზე 1913 წელს. არსე-
ბობდა მხოლოდ 48 ამ-
ბულატორიულ - პოლიკ-
ლინიკური საქმიო და 17
საფეხრშლო დაწესებუ-
ლება, რომლებსაც 2.100
საწოლი გააჩნდათ.


დღეს ხალხის ჯანმრთე-
ლობის დაცვის სამსახურ-
შია 54 ათასი მედიცინის
მუშაკი და 16 ათასამდე
სხვადასხვა სპეციალობ-
ის ექიმი. გასულ წელს
საწოლების რიცხვმა 40
ათას მიაღწია. ყოველ
ათას კაცზე დღეს 35 ექი-
მი და 83 საშუალო სამე-
დიცინო პერსონალი მო-
დის.

△ **გასულ** წელს სანა-
ტორიუმებში, დასასვენე-
ბელ სახლებსა და პანსიო-
ნატებში 327 ათასმა კაც-
მა დაისვენა. მრავალმა
მათგანმა უფასო საგზუ-
რით ისარგებლა. ტურის-
ტული ბაზებმა მასპინძ-
ლობა გაუწია 207 ათას
მოგზაურს და მოსამსახურეს და
მოსწავლეს.

△ **ჩვენს** რესპუბლიკა-
ში 672 ათასი პენსიონე-
რია. აქედან 228 ათასი
ყოფილი ორდენოსანი. ყოველთვი-
ურად სახელმწიფოსაგან
დახმარებას იღებს 84
ათასზე მეტი მრავალშვი-
ლიანი და მარტოხელა
დედა.

აი ციფრები, რომლე-
ბიც თვალნათლივ გვიჩვე-
ნებენ საბჭოთა საქართვე-
ლოს ზრდასა და აღმავ-
ლობას.

ახალი სამრეწველო ობიექტები



ყოველწლიურად იზრდება, ფართოვდება და ძლიერდება საბჭოთა საქართველოს ინდუსტრია. მარტო 1967 საიუბილეო წელს ჩვენს რესპუბლიკაში მწყობრში ჩადგა ათობით სამრეწველო საწარმო. ამ სურათზე თქვენ ხედავთ კასპის კერამზიტის ქარხნის ერთ-ერთ საამქროს. ქარხანა წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ.



გიორგი შარაშიძე:

ეს დიდად ნაყოფიერი დღეები იყო

„სამშობლოს ხმის“ ინტერვიუ

მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს მოწვევით ჩვენს დედაქალაქში სტუმრად იყო პარიზის უნივერსიტეტის კავრი ენების კათედრის პროფესორი გიორგი შარაშიძე მეულლითურთ.

ორგი შარაშიძე დაიბადა 1930 წელს პარიზში. 1952 წელს წარმატებით დაამთავრა ის უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, დაიცვა დისერტა- რუსულ ლიტერატურაში, აგრეთვე ჩააბარა გამოცდა ძველ ქართულ ენასა და ლიტე- რაში.

ამ დროიდან მოყოლებული გ. შარაშიძე მუშაობს პარიზის ეროვნული სამეცნიერო ვი ცენტრის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში.

შარაშიძე ეწევა ლინგვისტიკურ მოღვაწეობას. უკვე 1955 წლიდან მსოფლიოში კა- ცნობილი ლინგვისტისა და ეთნოლოგის ჟორჟ დიუმეზილის ხელმძღვანელობით ობს აღმოსავლურ და კავკასიურ ენებს. ნან კარგად იცის ქართული, ფრანგული, ისური, გერმანული, რუსული ენები, აგრეთვე ძველი სომხური, აფხაზური, ჩერქეზუ- ყაბარდოული, უბიხური, ხუნძური ენები.

965 წელს პარიზის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში გაიხსნა ქართული ენის კა- ა, სადაც გიორგი შარაშიძე მიიწვიეს ქართული ენის ლექტორად. აღსანიშნავია, რომ ათიან წლებში ამ ინსტიტუტში ქართულ ენაზე ლექციებს კითხულობდა ცნობილი ეცნიერი ნიკო მარი. მას შემდეგ ინსტიტუტში ლექციების კითხვა ქართულ ენაზე არ ებდა.

ბილისიდან გამგზავრების წინ ჩვენ შევხვდით ახალგაზრდა პარიზელ მეცნიერს და გვთ ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე:

— პატივცემულო გიორგი, რაზე მუშაობთ ამჟამად, თუ გაძვთ გამოქვეყნებული ები ქართულ კულტურაზე, ქართულ ლიტერატურაზე და რომორია თქვენი სამეც- ო მუშაობის გეგმები?

— უკვე იბეჭდება და მომავალი წლის მარტში გამოქვეყნდება 700-გვერდიანი შრომა ული წარმართობა“, — გვითხრა მან. — ეს არის ჩემი სადოქტორო დისერტაცია. დროს მალე გამოვა ვახტანგ VI-ის სამართლის ერთი ნაწილის თარგმანი. ეს არის ბრწყინვალის „ძეგლის დება“. ვმუშაობ იმავე სამართლის სხვა ნაწილზე. კერ- გვარეშენე სომხური სამართლის ქართული ვერსია ფრანგულ ენაზე და ვადარებ მას ი დედანს.

ნდა მოგახსენოთ, რომ მომავალი წლიდან პარიზის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდე- დიალოგავკასიური ენების კათედრა და ამ კათედრის გამგედ მიწვევენ.

ქართველოში პირველად ჩამოვედი. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ამ მშვე- ქეყნის ნახვამ. უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის ველოს საზოგადოებამ დიდი დახმარება გამიწია შენახა თბილისისა და მისი შე- ნის ისტორიული ადგილები და ღირსშესანიშნავი ძეგლები. შეხვედრები მქონდა სა- ულ ქართველ მეცნიერებთან — გიორგი ახვლედიანთან, არნოლდ ჩიქობავასთან, ი წერეთელთან, ალექსანდრე ბარამიძესთან, სიმონ ყაუხჩიშვილთან, ქეთევან ლომ- თან, რომელთა შრომებსაც კარგად ვიცნობ, აქ კი მათთან დავამყარე პირადი კონ- ი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავესწარი თამაზ გამყრელიძის ლექციას, ებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ვიყავი საქართველოს მეცნიერებათა აკა- ნმა, ენათმეცნიერების ინსტიტუტში, რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში. ყველგან გული- ად მხვდებოდნენ. თუმცა მცირე ხნით ვიყავი ჩამოსული, მაგრამ ეს ჩე- დიდად ნაყოფიერი დღეები იყო.

ინტერვიუს ბაქანს ახლო მომავალში სამეცნიერო მეგობრებს ჩამოვიდე ერთი თვით.

ლ. ხუბულური.

საქსსრ სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა



ნ. მუსხელიშვილი — გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მიიღო წერილი, რომელშიც გერმანიის (ბერლინის) მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პროფესორი ვ. ხარტკე იუწყება, რომ 12 ოქტომბერს ამ აკადემიის პლენუმმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი აირჩია გერმანიის (ბერლინის) მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად.

გერმანიის (ბერლინის) მეცნიერებათა აკადემია მესამე საზღვარგარეთული აკადემიაა, რომელმაც თავის უცხოელ წევრად აირჩია გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი. აქამდე აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი იყო პოლონეთისა და ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიების უცხოელი წევრი.

ო. თაქთაქიშვილი — სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ოქტომბრის საიუბილეო დღეებში გამოჩვეულნი ცნობა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ.

მუსიკისა და საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობის დარგში ეს მაღალი ჯილდო — სახელმწიფო პრემია მოიპოვა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორმა ოთარ თაქთაქიშვილმა ორატორიისათვის „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელიც შექმნილია პოეტ ირაკლი აბაშიძის ცნობილ ლირიკულ ციკლზე.



სანოემბროდ თბილისში გაიხსნა მეტროპოლიტენის მეორე უბანი

იწრდება მიწისქვეშა „სართულები“

ორი წელია, რაც თბილისის მიწის ქვეშ პირველად გაიჭროლეს ცისფერმა ვაგონებმა, მაგრამ მეტროპოლიტენმა უკვე დაიმკვიდრა პირველი ადგილი დედაქალაქის სატრანსპორტო მეურნეობაში.

ნოემბერში თბილისში გაიხსნა მეტროპოლიტენის პირველი რიგის მეორე უბანი, რომელმაც ერთმანეთს დააკავშირა დედაქალაქის ყველა რაიონი. თბილისის მეტროპოლიტენის საერთო სიგრძე დღეს 12 კილომეტრია და აქვს შემდეგი სადგურები: „დიდუბე“, „ელექტროდეპო“, „ოქტომბერი“, „ვაგზლის მოედანი“, „სადგური მარჯანიშვილი“, „რუსთაველის მოედანი“, „ლენინის მოედანი“, „26 კომისარი“, „300 არაგველი“. ამ ცხრა სადგურიდან ორი მიწისზედაა — „დიდუბე“ და „ელექტროდეპო“.

თბილისის მეტროს სადგურები და ვესტიბიულები თანამედროვე სადა სტილით არის შესრულებული, მარმარილოთი და ტუფით მოპირკეთებულ კედლებზე შეხვდებით ქართულ ჩუქურთმებს, ბარელიეფებს, ჭედური ხელოვნებით შესრულებულ პორტრეტებს.

— დღე-ღამეში საშუალოდ რამდენი მგზავრი გადაყავს თბილისის მეტროპოლიტენის ეძსპრესებს?

— ამ კითხვით მივმართეთ მეტროპოლიტენის უფროს ნ. ბერიძეს.

— შარშან, მეტროს პირველ უბანს დღე-ღამეში 60-65 ათასი მგზავრი გადაჰყავდა, — გვიპასუხა მან, — ახალი უბნის გახსნის შემდეგ ეს ციფრი 3-ჯერ გაიზრდება და 170 ათასს მიაღწევს, ე. ი წლიურად 65 მილიონამდე კაცს მოვემსახურებით.

მეტრო მგზავრთა სწრაფი გადაყვანის საშუალებაა, — განაგრძო ნ. ბერიძემ, — თუ მანამდე დიდუბიდან ავლაბრამდე ავტობუსით მგზავრი ერთ საათს ხარჯავდა, დღეს ეს დრო 12 წუთამდე შემცირდა. უნდა აღინიშნოს, რომ მეტროპოლიტენის ექსპრესები ძალზე სწრაფად დაჭრიან, მატარებლებს შორის დროის ინტერვალი საშუალოდ 3 წუთს თუ უდრის..

ვინ აშენა ასე სწრაფად და ასე მკვიდრად თბილისის მეტრო? ალბათ ასეთი კითხვა დაებადებათ ჩვენს მკითხველებს. ამაზე პასუხს იძლევა „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს უფროსი ვ. გოცირიძე.

— სამმართველოს კოლექტივმა უდიდესი სამუშაო შეასრულა, — გვითხრა ვ. გოცირიძემ, — საკმარისია დავასახელოთ ერთი ციფრი, რომ წარმოვიდგინოთ სამუშაოთა მოცულობა. მშენებლობის დროს ამოღებულია 900 ათასი კუბური მეტრზე მეტი გრუნტი და კონსტრუქციებში ჩაწყობილია 300 ათას კუბურ მეტრზე მეტი ბეტონი და რკინაბეტონი.

მაგრამ მარტო სამმართველოს კოლექტივი რომ შრომობდა მეტროპოლიტენის მშენებლობაში, იგი საერთო სახალხო, დამკვრელურ ობიექტად იქცა. შაბათობებსა და ბაზობრივ მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 100 ათასზე მეტმა კაცმა.

თბილისელთა შრომას ამოდ არ ჩაუვლია. დღეს ჰაეროვანი, ფართო მიწისქვეშა სადგურები მუდამ სავსეა ხალხით, ცისფერი ექსპრესები სერავენ თბილისის ჭაღარა გულს.

გზა მშვიდობისა, მეტროპოლიტენო!

რ. ჭელიძე.





სურათებზე: თბილისის მეტროპოლიტენის ორი ახალი სადგური — „26 კომისარი“ და „300 არაგველი“ (მარჯვნივ).

ბერილი ალუირიდან

ეცნობიან საბჭოთა საქართველოს

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი ფართოდ აღნიშნა ალუირის საზოგადოებრიობამ. ჯერ კიდევ ადრე, იუბილეს წინა თვეში ალუირში იმყოფებოდა საბჭოთა საქართველოს დელეგაცია, რომელიც ჩასული იყო იქ ალუირის მე-4 საერთაშორისო ბაზრობაზე. გაზეთ „სამშობლოს ხმის“ მკითხველებისათვის ცნობილია, როგორი მაღალი შეფასება მიიღო საბჭოთა საქართველოს პავილიონმა ამ ბაზრობაზე.

ამავე პერიოდში საბჭოთა საქართველოს დელეგაციის წევრებმა ალუირის საზოგადოებრიობისთვის გამართეს ლექციები, საუბრები საბჭოთა საქართველოს მიღწევების შესახებ. ამასთანავე ალუირის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში მოეწყო ფოტოგამოფენები საბჭოთა საქართველოს და ამიერკავკასიის რესპუბლიკების შესახებ.


ამას იტყობინებიან ალუირიდან გამოგზავნილ წერილში, რომელიც ამ დღეებში მოვიდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩილ გიგოშვილის სახელზე.

— საბჭოთა კულტურის ცენტრში, — იწერება მეგობრობის საზოგადოებათა კავშირის წარმომადგენელი ალუირში ა. კუზმინი, — გაიმართა დიდი საღამო, რომელიც მიეძღვნა საქართველოს რესპუბლიკას. საღამოზე ლექცია თემაზე „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი“ წაიკითხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბ. ჩოგოვაძემ. ლექციამ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ცენტრის შენობაში მოწყობილი იყო დიდი ფოტოგამოფენა, რომელიც ასახავდა საბჭოთა საქართველოს მიღწევებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, დარბაზის სცენა მორთული იყო საქართველოს სსრ, საბჭოთა კავშირისა და ალუირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით. ცენტრის შენობაში გაისმოდა ქართული მელოდიები. საღამოს დასასრულს ნაჩვენები იქნა ქართული ფილმები.

შემდეგ დღეს საბჭოთა კულტურის ცენტრში გაიმართა მეორე საღამო, სადაც ლექცია თემაზე „ოქტომბრის რევოლუცია და საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხის გადაწყვეტა“ ფრანგულ ენაზე წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. ტაბაღუამ. თავის ლექციაში ი. ტაბაღუამ მოიყვანა მრავალი მაგალითი საბჭოთა რესპუბლიკების მიღწევების შესახებ.

ი. ტაბაღუა შემდეგ გაემგზავრა ქალაქ ლახდარიაში, სადაც ალუირის ნაციონალური ფრონტის ახალგაზრდული ორგანიზაციის კლუბში წაიკითხა ლექცია „ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიღწევები“. კლუბის დარბაზში ექსპონირებული იყო საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების მიღწევების ამსახველი დიდი ფოტოგამოფენები.

საბჭოთა საქართველოს მიღწევებს მიეძღვნა ავრეთვე ლექციები, ფოტოგამოფენები, რომლებიც გაიმართა ალუირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებში ალუირში, ორანში, ანაბაში, ბლიდაში და სხვაგან.



სურათზე: საბჭოთა საქართველოს მიღწევების ამსახველი ფოტომასალების სტენდი საქართველოს პავილიონში, ალჟირის საერთაშორისო ბაზრობაზე.

ფუნჯით, საჭრისით, ყალმით

თბილისის ცენტრში, რუსთაველის პროსპექტზე აღმართულა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მონუმენტური შენობა. იგი ცნობილია მთელ საქართველოში. რესპუბლიკის დედაქალაქის მრავალი სტუმარი აღტაცებულია მისი ფორმებით, საუცხოო ბარელიეფებით, რომლებიც ფასადს ამშვენებენ. მათზე გამოსახულია სხვადასხვა მომენტი საბჭოთა ხელისუფლებისათვის, თავისი ბედნიერებისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან. ეს არის ცნობილი ქართველი მხატვრისა და მოქანდაკის თამარ აბაკმელიას ნამუშევრები.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია თ. აბაკელიას შემოქმედება. იგი ერთნაირი ოსტატობით ფლობდა საჭრისს, ფუნჯსა და ფანქარს. მას ერთნაირად იტაცებდა ჰეროიკული თემატიკა და ლირიკული სახეები, პეიზაჟები.

თ. აბაკელიამ ხელი შეუწყო ქართული მონუმენტური და რელიეფური ქანდაკების ტრადიციების აღორძინებას. მისი გრაფიკული ნაწარმოებები გვხიბლავს ბრწყინვალე ტექნიკით. მხატვარი ფართოდ არის ცნობილი როგორც წიგნის ილუსტრატორი. „ვეფხისტყაოსნის“ და სომხური ეპოსის „დავით სასუნელის“ ილუსტრაციები ერთ-ერთი მკაფიო ფურცელია მის შემოქმედებაში.

თ. აბაკელიას ნიჭის თაყვანისმცემლებს საშუალება ეძლევათ ფართოდ გაეცნონ მის შემოქმედებას. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ უშვებს ალბომს, რომელშიც წარმოდგენილია ფერწერული, სკულპტურული და გრაფიკული ნაწარმოებები.

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოსაცემად ამზადებს ავრეთვე ცნობილი ქართველი მხატვრის ს. ქობულაძის ნაწარმოებთა ალბომს. მასში შევა „ვეფხისტყაოსნის“, შექსპირის „მეფე ლირის“, ხალხური ეპოსის „თქმულება იგორის ლაშქრობისა“ და სხვ. ასზე მეტი ილუსტრაცია.

შ. ახვლედიანის ალბომი გაგვაცნობს მხატვრის მიერ 40 წლის განმავლობაში შექმნილ თეატრალურ ესკიზებს. ესკიზებს თან ახლავს თეატრმცოდნე ნ. ურუშაძის განმარტებითი ტექსტი, რომელშიც თანმიმდევრობით გაშუქებულია ელენე ახვლედიანის მოღვაწეობა ქართულ დრამატულ, მუსიკალურ და რუსულ დრამატულ თეატრებში.

ეს სამი ალბომი მალე გამოვა ჩვენი რესპუბლიკის წიგნის მაღაზიებში.

იპპი ფუკურო გვწერს:

ქართულმა ვარდმა გაიხარა იაპონიაში

ჭართულმა ვარდმა გაიხარა იაპონიის მიწაზე და მისმა სურნელებამ ჩვენს პატარა სახლს სიხარული შემატა. შევცქერი მას და თვალ კვლავ თქვენთან, ჩემს საყვარელ საქართველოში მგონია, — აღტაცებით იწერება იპპი ფუკურო.

იპპი ფუკუროს, შორეული იაპონიის მკვიდრმა, შეიძლება თამამად ითქვას პირველი მეგობრობის ხიდი გასდო ჩვენს ხალხებს შორის და ეს ყველაფერი ისევ და ისევ დიდი რუსთაველის წყალობით.

თუ ათეული წლის წინათ ას მილიონმა იაპონელმა თითქმის არაფერი იცოდა საქართველოს შესახებ, დღეს ისინი მშობლიურ ენაზე კითხულობენ არა მარტო „ვეფხისტყაოსანს“, არამედ ქართულ ზღაპრებსა და ლეგენდებს, ჩვენი ლიტერატურის ნიმუშებს, უამრავ სტატიებს და ნარკვევებს ჩვენი რესპუბლიკის შესახებ, ხოლო რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით ისმენენ ქართულ მუსიკას. და დღეისათვის თუ იაპონელები ასეთ დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი ქვეყნის მიმართ, პირველ რიგში უნდა ვუმადლოდეთ იპპი ფუკუროს.

რუსთაველის საიუბილეო დღეებში, როდესაც ჩვენს ერს ზეიმი ჰქონდა, იპპი ფუკუროც ჩვენთან ერთად განიცდიდა სიხარულსა და ბედნიერებას. ამ მოგზაურობის დროს მან პირადად აღიქვა ჩვენი მიწის სურნელება და ფერადოვნება.

იპპი ფუკურო, ეს თავდაბალი და უმწიკვლო კაცი, ბუნებით ბუნების დიდი მოტრფიალეა, განსაკუთრებით კი კავკასიონის ჰაერმა მწვერვალებისა (ეს მან დააწერა იაპონიაში „იაპონელ და ქართველ მთამსვლელთა მეგობრობის კლუბი“). მისთვის ბუნება ყველა სილამაზის სილამაზეა. იგი ბალახზე ფეხის დადგმას ერიდებოდა, ხოლო მისი მეუღლე ქალბატონი ჰანაკო კი ბავშვივით ცალერსებოდა ყვავილებს.

ცნობილია, რომ ყველ ხვლს, თუ მას ქვეყანა უყვარს, სადაც ის მოგზაურობს. ყოველთვის იძენს რაიმე სუვენირს იმ ქვეყნის სახსოვრად და აი ფუკუროსაც უნდოდა წაეღო საქართველოდან ისეთი რამ, რაც მას ყოველდღიურად ჩვენს ქვეყანას გაახსენებდა.

მან ერთადერთი რამ გვთხოვა და ისიც დიდი მორიდებითა და მოწიწებით — ქართული ვარდის ბუჩქი.

აი სწორედ საქართველოდან წაღებული ეს ორი ვარდის ბუჩქია, რომელმაც ფუკუროს ოჯახში, იაპონიაში გაიხარა და რომელსაც ესოდენ დიდად აღტაცებული თავს ევლება ჩვენი ერის დიდი მეგობარი იპპი ფუკურო.

ნ. კოჭლაშვილი.

მაღალი შეფასება

ბუქარესტი. „აღტაცებული ვართ ქართული ხელოვნებით“, „ქართული კერამიკა საუკეთესოა მსოფლიოში“, „გლოცავთ, ამხანაგო ქართველებო“ — ასეთ ჩანაწერებს წაიკითხავთ შთაბეჭდილებათა წიგნში, რომელიც ინახება საბჭოთა კავშირის ბუქარესტის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენის საქართველოს სსრ განყოფილებაში.

გამოფენა გაიხსნა აქ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად. ეს არის ბოლო წლებში საბჭოთა კავშირის მიერ საზღვარგარეთ გამოფენილი ერთ-ერთი უდიდესი ექსპოზიცია.

ისევე როგორც გამოფენის დანარჩენი 14 განყოფილება, საქართველოს განყოფილებაც არცთუ ისე დიდია — სულ ასზე ცოტა მეტი ექსპონატია. მთლიანად კი გამოფენაზე წარმოდგენილია 15 ათასი ექსპონატი. მაგრამ მათი ღირებულება რაოდენობით როდი განისაზღვრება, დამთვალიერებლები დიდხანს ჩერდებიან და თვალს ვერ აშორებენ ცნობილ ქართველ ოქრომჭედელთა ნამუშევრებს, ლამაზ ხალიჩებს, ვიტრინებს, რომლებშიც აწყვია ყანწები და ბუმბულივით მსუბუქი აბრეშუმი.

„ეს არის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ხელოვნების მკაფიო ნიმუში“, — წერს გამოფენის ერთ-ერთი დამთვალიერებელი.

სულ ახლახან ბუქარესტისა და რუმინეთის სხვა ქალაქების მცხოვრებლები მხურვალედ უკრავდნენ ტაშს საქართველოს რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის კოლექტივს. ეს გამოფენა დამთვალიერებლებს საშუალებას აძლევს ღრმესულად შეაფასონ საბჭოთა საქართველოს უძველესი კულტურა.


საბჭოს ხმა

№ 21-22, ნოემბერი, 1967 წ.



ერთი რაიონის კონცერტები

103 წლის მაკარ ჭუბაბრია ცოცხალი მატიანეა საჩხერის წარსულისა. ჰკითხეთ მას და იგი გიამბობთ თუ რას წარმოადგენდა საჩხერე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ეს იყო მთებში მივარდნილი, ღარიბი სოფელი. გლეხები ცხოვრობდნენ აუწერელ სიღატაკეში, ნახევრად დანგრეულ ქოხმახებში. ჩვენი დროისათვის უბრალო სოფლის მცხოვრებლებს, ვინაიდან მთელს საჩხერეში იყო მხოლოდ ერთი ექიმი კი არა, არამედ უბრალო ფერშალი. მომავალი თაობის განათლების საქმეს ემსახურებოდა ერთი დაწყებითი სკოლა.



სახე იცვალა საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში საჩხერემ. ახლა აქ ცხოვრობენ ორსართულიან ქვის სახლებში, ცხოვრობენ შეძლებულად. ქალაქის მოასფალტებულ ქუჩებში დაქრიან კოლმეურნეთა მსუბუქი ავტომანქანები. აქ საკუთარი მანქანების მფლობელთა რიცხვმა 120 მიაღწია. ელექტრონი, რადიო და ტელევიზია დიდი ხანია დამკვიდრდა საჩხერელთა ყოფაში. აქ ყოველდღიურად მატულობს კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა რიცხვი. სამი საშუალო სკოლა, მუსიკალური სკოლა, საბავშვო სახლი, კულტურის სახლი და ბიბლიოთეკა, რომლის წიგნის ფონდი 50 ათას ტომს ითვლის, საბავშვო ბაღები, ბაგები და მრავალი სხვ. არსებულს მუდამ ახალი ემატება. აი ახლაც, საჩხერეში ახლახან ექსპლოატაციაში გადასცეს 410 ადგილიანი ახალი საავადმყოფოს შენობა.



საავადმყოფოს განყოფილებები და კაბინეტები აღჭურვილია უახლესი სამედიცინო მოწყობილობითა და აპარატურით.

საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა ჩვენს რესპუბლიკაში. მისი ვენახები გადაშენებულია 435 ჰექტარზე.

* * *

სურათებზე: ქალაქ საჩხერის უხუცესი მცხოვრები მაკარ ივანეს-ძე ჭუბაბრია; საავადმყოფოს ახალი შენობა; საჩხერის საბჭოთა მეურნეობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფის გამოსვლა.

ფოტო ა. მაჭავარიანისა.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის კერები

ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ განთქმულია საქართველოს ბალნეოლოგიური, სამთო-კლიმატური, საზღვაო კურორტები. ყოველწლიურად 350 ათასი მშრომელი მკურნალობს და ისვენებს რესპუბლიკის პროფკავშირთა სანატორიუმებში, პანსიონატებში,- დასასვენებელ სახლებში.

კურორტების განვითარება დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1921 წლის 20 მაისის დეკრეტით მეფის დიდებულთა, აზნაურთა და კაპიტალისტთა ყოფილ სასახლეებში მოეწყო 10 დასასვენებელი სახლი და სანატორიუმი. პირველსავე სამკურნალო სეზონში აქ დაისვენა და იმკურნალა 600 მუშამ.

ყოველწლიურად იზრდებოდა და ვითარდებოდა საკურორტო მეურნეობა. დიდი სახსრები მოხმარდა ძველი კურორტების ძირეულ რეკონსტრუქციასა და ახალი კურორტების ფართო მშენებლობას ნამდვილი ჯანმრთელობის კერა-სასახლეების შესაქმნელად.

მაგალითად, მარტო 1945-1960 წლებში წყალტუბოში საექსპლოატაციოდ გადაეცა სანატორიუმები „მეშახტე“, „მეტალურგი“, „რკინიგზელი“, სასტუმრო-პანსიონატი „თბილისი“, სამი საბავშვო შენობა. განხორციელდა კურორტის კეთილმოწყობის დიდი სამუშაოები.

გაგრაში აშენდა ისეთი შესანიშნავი ჯანმრთელობის კერა-სასახლეები, როგორიც არის სანატორიუმები „შუქურა“, „უკრაინა“, „მენავთობე“, „საქართველო“, ახალი კინოთეატრი, მთელი რიგი სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი, გაშენდა დიდი პარკი, რომელიც საუკეთესოა შავი ზღვის სანაპიროზე.

მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა კურორტების აბასთუმნის, ბორჯომის, ახალი ათონის კეთილმოწყობისათვის. ბევრი რამ გაკეთდა ქობულეთის, ციხისძირის, მწვანე კონცხის, მახინჯაურის განვითარებისათვის.

საბჭოთა მთავრობის დადგენილებამ საკურორტო საქმის შემდგომი განვითარების შესახებ აღმოფხვრა საკურორტო საქმისადმი უწყებრივი მიდგომა, როცა ცალკეული მსხვილი ორგანიზაციები კურორტების მშენებლობისათვის ირჩევდნენ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ ცნობილ ადგილებს, ამასთან ხშირად არ ითვალისწინებდნენ მოსახლეობის მოთხოვნებს.

პროფკავშირთათვის ჯანმრთელობის კერების გადაცემით დამკვიდრდა ერთიანი საკურორტო პოლიტიკის განხორციელების პრინციპი, რამაც ხელი შეუწყო საკურორტო საქმის ახალ აღმავლობას. 1960-1967 წლებში რესპუბლიკის საკურორტო მშენებლობას მოხმარდა ასობით მილიონი მანეთი. კურორტებს შეემატა თანამედროვე კეთილმოწყობილი ჯანმრთელობის კერები, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

წყალტუბოში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სანატორიუმები „იმერეთი“, „ივერია“, „ველათი“, „ცისკარი“, № 9 საბაზანო შენობა, რომელსაც აქვს 40 ინდივიდუალური კაბინა და აუზი სამკურნალო ფიზკულტურისათვის. აქ გაშენდა ახალი პარკები, კეთილმოწყობილი გახდა მოქმედი ჯანმრთელობის კერები.

ბორჯომში აშენდა კურშალის შენობა, საკურორტო ბიბლიოთეკა, ჰაერბაგირის სამგზავრო გზა, რომელიც ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს აკავშირებს „სადგურის“ ტყე-პარკთან, 750-ადგილიანი საზაფხულო კინოთეატრი, საცურაო აუზი. დიდი სამუშაოები განხორციელდა სანატორიუმების „ლიკანის“, „მთის ხეობის“, „სურამის“, წალენჯიხის დასასვენებელი სახლის „კეჩხობის“ რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის. გათვალისწინებულია წელს საექსპლოატაციოდ გადაეცეს დასასვენებელი სახლის „ბორჯომ-პლატოს“ 200-ადგილიანი საძილე კორპუსი.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ხორციელდება შავი ზღვის სანაპიროს კურორტების კეთილმოწყობისათვის. ქობულეთში შეიქმნა პარკი, აშენდა წყალსადენი, შენდება კანალიზაცია. რეკონსტრუირებულია სანატორიუმი „აჭარა“ მწვანე კონცხზე. გაგრაში განხორციელდა კურორტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. მთავრდება სანატორიუმების „შუქურის“ და ჩელუსკინელთა სახელობის ოთხსართულიანი საძილე კორპუსების მშენებლობა. ამ ჯანმრთელობის კერებში თითქმის ერთიორად მეტი ხალხი დაისვენებს. კეთილმოწყობილია აგრეთვე საერთო-საკურორტო სამედიცინო პლაჟი. მომდინარე წელს დამთავრდება 310-ადგილიანი ახალი სანატორიუმის, წყალსამკურნალოს მშენებლობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ითვალისწინებს საქართველოს კურორტების მარგალიტის — გაგრის შემდგომ განვითარებას. აშენდება 500-ადგილიანი პანსიონატი, საერთო საკურორტო პოლიკლინიკა, საცურაო აუზი 300 კაცისათვის, 900-ადგილიანი სასტუმრო „ინტურისტის“ მაღლივი შენობა, აგრეთვე მთელი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოები.

მომდინარეობს საკურორტო სიმდიდრეთა შემდგომი ათვისება. დიდი თანამედროვე კურორტი აშენდა ბიჭვინთის კონცხზე. დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცა შვიდი 15 სართულიანი კომფორტული სასტუმრო-პანსიონატი 2.934 კაცისათვის, საკურორტო დარბაზი, საცურაო აუზი, საზაფხულო კინოთეატრი, სასადილო, საზღვაო ვოგზალი, პლაჟი და სხვ.

მნიშვნელოვანი გარდაქმნები მოხდება ჭობულეთში, გუდაუთაში, ლესელიძეში, აგუძერაში. მაგალითად, გუდაუთაში აშენდა „ალაშარას“ დასასვენებელი სახლის ლამაზი შენობა. ახალ საძილე კორპუსებს მიიღებენ ახალი ათონის, ლესელიძისა და აგუძერის დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები.

რეკონსტრუირებულია და თითქმის ერთიორად გაფართოვდა საბაბაზანო

ევროპის ბანზე

რომა სპირიდონ გვაჩლიანს ასი წელი შეუსრულდა, მის მოსალოცად მოვიდა თითქმის ყველა თანასოფლელი — სვანეთის სოფელ უშგულის მცხოვრებლები. ეს სოფელი ზღვის დონიდან 2.400 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს კავკასიონის მარადიული თოვლის ზონასთან.

უშგულელები თავიანთ სოფელს ევროპის ბანს უწოდებენ.

პაპა სპირიდონიც კი ვერ გეტყვით, როდის დაარსდა უშგული. დუმან აგრეთვე სვანეთის ტრადიციული ციხე-კოშკები. ასამდე ოჯახი ცხოვრობს სოფელში და თითქმის ყოველ მათგანს კოშკი აქვს. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ისინი ლამის ორი ათასი წლის წინათ არიან აშენებული.

დიდხანს გაისმოდა სიმღერები სპირიდონის სახლში, სტუმრები პატივს სცემენ მოხუც მთიელს. იგი სიამაყით შეჰყურებდა თავის შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, ისინი კი ბევრი არიან — ოცდათი. იშვიათად იკრიბებიან ისინი ერთად. მოწყენილია მოხუცი, მაგრამ ესმის, რომ ძნელია უშგულში ჩამოსვლა. წელიწადში რვა თვე აქ ზამთარია. გზები ჩაკეტილია თოვლით. გარესამყაროსთან კავშირი მხოლოდ ტელეფონით და რადიოთია. მკაცრი მხარეა.

ასი წელი გაატარა მოხუცმა, მაგრამ წერა-კითხვა მაინც ვერ ისწავლა. სულ მოუცლელი იყო, ხან ომში წაიყვანეს შორეულ მანჯურიაში, ხან საშოვრის ძებნაში შემოატარა მთელი დასავლეთ საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია, მოჯამაგირეობდა, იყო მწყემსი.

საბჭოთა ხელისუფლებამ მოხუცის ბავშვებს განათლება მისცა. ხალხში გამოიყვანა. უფროსი — მარო მასწავლებელია, პავლე მეცნიერია, სოფლის მეურნეობის მეცნიერების კანდიდატია, მუშაობს თბილისის ერთერთ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. ლიზა მეზობელ კოლმეურნეობაში მუშაობს. მათი შვილები სწავლობენ სკოლებში, ინსტიტუტებში.

ყველაზე ახლოს მამასთან ვაჟიშვილი ვარდენი იყო. ჯერ ერთი, იგი ყველაზე უმცროსია — 50 წლისაა! მეორე, გარდა იმ წლებისა, როცა ვარდენი ინსტიტუტში სწავლობდა, მამა-შვილი არ დაშორებიან ერთმანეთს. ვარდენი ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული კაცია სოფელში — კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. მისი დამსახურებაც არის იმაში, რომ სოფლად აშენდა კლუბი, 150 უშგულელი ბავშვი სწავლობს მოხერხებულ და ვრცელ საშუალო სკოლაში, რომელმაც შეცვალა სამწლიანი საკლასიო სკოლა. რესპუბლიკის ყველაზე მაღალი მთის კოლმეურნეობის წევრები შეძლებულად ცხოვრობენ. საკოლმეურნეო ფერმებში ხუთასამდე სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვია.

ოთხი შვილი გაზარდა ვარდენმა. უფროსმა ვაჟმა წელს დაამთავრა სკოლა ოქროს მედლით და შევიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

„...აქ, უშგულში, სუფთა და გამჭირვალე მთის ჰაერია. აქ ადამიანები დიდხანს ცოცხლობენ, შორს ხედავენ, და იქნებ ამიტომ ასე ნათლად ჩანს დღეს სპირიდონ გვაჩლიანის ოჯახის სამი თაობის ბედი, რომელიც საბჭოთა წყობილებამ გარდაქმნა.

ო. გვარლიანი.

შენობა კურორტ მენჯში. გრძელდება კურორტების ციაშის, საირმის, ახტალის, კვერეთის, ბახმარო-ნაბეღლავის კეთილმოწყობა. უწერაში დაიწყო 200-ადგილიანი პანსიონატის მშენებლობა. წყალსადენი გაჰყავთ ნაბეღლავში, იწყება ახალ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა მშენებლობა, ამუშავებენ საპროექტო-ტექნიკურ დოკუმენტაციას.

საიუბილეო წელს საკურორტო მშენებლობის ფართო ღონისძიებათა და ბიჭვინთის კომპლექსის მშენებლობის დამთავრების შედეგად საქართველოს პროფკავშირთა ჯანმრთელობის კერებში საწოლების რიცხვი გაიზარდა 20.000-მდე, მაშინ როდესაც 1960 წელს 13.493 იყო.

ჯანმრთელობის კერებს ქმედითს დახმარებას უწევენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და მისი სოხუმისა და წყალტუბოს ფილიალები. მათ დიდი მუშაობა გასწიეს, რათა შეესწავლათ სამკურნალო-საკურორტო ფაქტორები და დაავადებულ და ჯანსაღ ორგანიზმზე ამ ფაქტორების ზემოქმედების მექანიზმი, შეიმუშავეს და დააზუსტეს მკურნალობის კომპლექსური მეთოდები. განხორციელდა სანატორიუმების სპეციალიზაცია. სწავლობენ კურორტების განაშენიანებისა და არქიტექტურული გაფორმების საკითხებს.

კიდევ უფრო განვითარდება საქართველოს სსრ პროფკავშირთა ჯანმრთელობის კერები მიმდინარე ხუთწლედში. მწყობრში ჩადგება ახალი ჯანმრთელობის კერები, წყალ-ტალახსამკურნალოები და სხვა სანატორიულ-საკურორტო სამკურნალო დაწესებულებანი. ხუთწლედის დამლევს საწოლების რიცხვი პროფკავშირთა ჯანმრთელობის კერებში 25 ათასს გადააჭარბებს.

ყოველივე ეს ნათლად მოწმობს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის.

პ. ჩიკვილაძე,

საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.





არენაზეა ნანა მელქაძე

ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი ტანადი ქალიშვილი ცირკის გაჩირაღდნებულ არენაზე ბედაურს შემოაგელვებს. ქალიშვილს შავი მატერიით თვალებს აუხვევენ, და იგი, გაჭენებულ ცხენზე მდგომი, ისეთ არაჩვეულებრივად რთულ ნომრებს ასრულებს, რომ უაღრესად გამოცდილ მოჯირითე ვაჟკაცსაც შეშურდება.

ეს **ნანა მელქაძეა** — ქართული ცირკის საუკეთესო მოჯირითე, რომელმაც ქალთა საცირკო საცხენოსნო ხელოვნების ისტორიაში შესანიშნავი ფურცლები ჩაწერა.

ნანას წარმოდგენის შემდეგ შევხვდი. ტანისამოსი უკვე გამოეცვალა, და ჩემს წინ იდგა ჩვეულებრივი შავთვალა ქართველი ქალიშვილი.

იგი თავის თავზე მიამბობს.

— დავიბადე და ბავშვობა გავატარე სამეგრელოში — ქალაქ ცხაკაიაში. პატარაობიდანვე გამიტაცა სპორტმა. ვთამაშობდი კალათბურთს, ფრენბურთს, მივდევდი მძლეოსნობასა და ველოსიპორტს. 12 წლისა რომ გავხდი, განსაკუთრებით მიმიზიდა საცხენოსნო სპორტმა. იმ დროს ცხაკაიაში იპოდრომზე მწვრთნელად იყო გვეჯე ივანიძე. მან პირველად შემსვა ცხენზე და მასწავლა, როგორ დამეჭირა ხელში აღვირი.

ახლოვდებოდა საპირველმაისო საცხენოსნო-სპორტული დღესასწაული. წინადადება მომცეს მონაწილეობა მიმეღო შეჯიბრებაში. გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ მე ყველას გავუსწორდი და ჩემი ცხენით პირველი ადგილი დავიკავე ბავშვებს შორის. ეს იყო ჩემი პირველი გამარჯვება.

1959 წელს თბილისში 1.800 მეტრზე მარყუჟში გამოვედი და უკვე მეორე ადგილი დავიკავე სრულიად საქართველოს შეჯიბრებაში. იმავე წელს სპორტის ოსტატის წოდება მომანიჭეს.

მალე თბილისის იპოდრომზე მიმიწვიეს, სადაც მუშაობა დავიწყე მწვრთნელად. მას შემდეგ არაერთხელ მომიღია მონაწილეობა საკავშირო შეჯიბრებებში, ოცზე მეტი დიპლომი მაქვს. საცხენოსნო სპორტში, არაერთხელ გამოვსულვარ პირველ ადგილზე დაბრკოლებათა გადალახვაში.

ერთხელ თბილისის იპოდრომზე მოვიდა სახელმწიფო ცირკის მთავარი რეჟისორი ირაკლი ყანჩელი. რამდენიმე ცხენე სჭირდებოდა მასობრივი წარმოდგენისათვის. გამომელაპარაკა და წინადადება მომცა მონაწილეობა მიმეღო მოჯირითეთა ჯგუფში, რომელიც თბილისის ცირკთან ეწყობოდა ცხობილი, საცირკო მოჯირითის იბრაჰიმ კანტემიროვის ხელმძღვანელობით.

ასე დავუკავშირე ჩემი ცხოვრებაც ცირკის არენასა და მოჯირითე გავხდი. მალე საქართველოს ცირკთან შეიქმნა ჯგუფი „ქართველი მოჯირითენი“ ქერიმ ვარძიევის ხელმძღვანელობით და მე მასთან გადავედი სამუშაოდ.


ამ დასთან ერთად საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში ვიყავი, დიდი წარმატებით შემოვიარე პოლონეთისა და საფრანგეთის ქალაქები.

1962 წელს პირველად საცირკო ხელოვნების ისტორიაში მოვამზადე ჩემი სარეკორდო ნომერი, რომელიც დღემდე ჩემს გარდა მსოფლიოში არც ერთ მოჯირითე ქალს არ შეუსრულებია. გაჭენებულ ცხენზე თვალახვეული მოვბრუნდები ჭინაგირზე, ცხენს მუცელქვეშ გავუძვრები და კვლავ ვჯდები უნაგირზე. ამ ნომრის ბომზადებას ბევრი დრო მოვანდომე და მისი შესრულება ყოველთვის მჭუხარე ტაშს იწვევს.

მე მადლობას ვუხდი ნანას ინტერვიუსათვის.

გამომშვიდობებისას ნანა მეუბნება, რომ ახლა ქართული ცირკის მსახიობთა კოლექტივი ევროპის ქვეყნებში დიდი ახალი ტურნესათვის ემზადება. ქართველი მსახიობები თავიანთ ხელოვნებას აჩვენებენ დასავლეთ გერმანიის, დანიის, შვეიცარიისა და ინგლისის ქალაქებში.

ს. კილაძე.



სურათებზე: მარცხნივ — ნანა მელქაძე თავისი ბედაურით; ნანა არენაზე. მარჯვნივ — არენაზე არიან ქართული ცირკის აკრობადისტები.

ფოტო ავტორისა.

[-20]

ფ. 15/114



ახალი ოცდაორსართულიანი სასტუმრო „ივერიის“ შენობა თბილისში.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

მოუსმინეთ საქართველოს

სარედაქციო კოლეგია

ჩვენთან მისამართი:

თბილისი, ჯ. ათონელის ქ. № 25.